ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5314582

ნომერი: AR1806702

თარიღი : 26.02.2021

გაცემის თარიღი : 05.03.2021

გაცნობის თარიღი : 05.03.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I , და მუხიანის I მ/რ-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 26 თებერვლის №AR1806702 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 26

თებერვალს №AR1806702 განცხადებით მომართა რევაზ ებრალიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 30 ნოემბრის №5204688 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 30 ნოემბრის №5204688 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გლდანი, მიკრო/რაიონი I და მუხიანის I მ/რ-ს შორის, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.001.125), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213973 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 04 დეკემბრიდან 2023 წლის 04 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2020 წლის 30 ნოემბრის №5204688 ბრძანებით შეთანხმებულ +31.80 ნიშნულის გეგმაზე შეცდომით არის დატანილი ექსპლიკაცია. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული გეგმის ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმით.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2020 წლის 30 ნოემბრის №5204688 ბრძანებით შეთანხმებულ +35.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ჯამი (41.7 კვ.მ) და ამავე ნიშნულის გეგმაზე ექსპლიკაციაში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებელი (40.7 კვ.მ) ერთმანეთთან შეუსაბამოა. ამასთან, ამავე ნიშნულის გეგმაზე დატანილი ლიფტის სამანქანოს ფართობი შეყვანილია კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში. აღნიშნული ფართობი შეყვანილ უნდა იქნას დამხმარე ფართობში.
ამასთან, არასწორად მოხდა განცხადების რეგისტრაცია „ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურაში. საჭიროა განცხადება დაარეგისტრიროთ „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურით, რისთვისაც ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 განცხადება დაარეგისტრიროს “ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში” ნომენკლატურით.
1.2 დააზუსტოს მოთხოვნა კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.3 +31.80 ნიშნულის გეგმასთან ერთად წარმოადგინოს სამსახურის 2020 წლის 30 ნოემბრის №5204688 ბრძანებით შეთანხმებული +35.00 ნიშნულის გეგმების იდენტური +35.00 ნიშნულის გეგმა მხოლოდ ფართობების დაზუსტებით (გეგმარების ცვლილების გარეშე).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2021 წლის 26 თებერვლის №AR1806702 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.